F2751 N 13863

წლიწადი მეოთხე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

# თეთრი გიორგი

კაცი ის არის, ვინც [illegible]
და მთაყვანეგა
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც
მისი მკაცრი ბრძანება
ვისაც სამშობლოს ოზვრისთვის ლომ-
გულ ი მოეფ ხანება
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მოწამეს დაემგვანება.
რ. ერისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

პარიზი

თებერვალი 1929 წელი

№ 16

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens "THÉTRI G&IORGUI"

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret PARIS-XVIIe

Février 1929

№ 16

Paris

## 25 თებერვალი.

რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წითელმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო. რვა წელია რაც რუსის ჩექმის ქვეშ გმინავს ქართველი ერი, გლოვის სუდარა სუფევს ქართულ ოჯახებში, ცრემლი და დევნაა ხვედრი ქართველისა... მწარეა ბედი ქართველად წოდებულთა.

მტრის ვერაგი ხელი მოხერხებულად ათხელებს მამულიშვილთა რიგებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზედ გათხრილი სამარე და ქართველთა ძვლებით მოფენილი ციმბირის გზები უტყვად მოწმობენ ამას. მოხერხებულად ანგრევს მტერი ქართულ ოჯახს, რყვნის და ანიავებს ენის, სარწმუნოების და ქართული ფაქიზი სულის მაგიერ რუსულ ბრიყვულ, ხულიგნურ სულს ამეფებს.

ქართულ მეცნიერების ტაძარს — უნივერსიტეტს, ქართველთა სისხლით გასვრილი ჩეკისტები ან იუდა-გამყიდველნი ხელმძღვანელობენ, ქართულ სასწავლებლებში გავშვებს უფლება არა აქვთ მშობელი ქვეყნის ისტორიის შესწავლის, ქართულ მწერლობას რუსის «ბოსიაკი» ესენინი დაუსახეს იდეალად და რუსეთიდან გადმონერგილი უხეში პროლეტარული მწერლობა გადააფარეს ძაჯლაჯუნასავით, რომ სამუდამოდ ჩაჰკლან მდიდარი ქართული ენა და ლიტერატურა.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა სისხლით გაპოხიერებული საქართველოს მიწაზე ვიღაც გადამთიელებს დაურიგეს, ჩთესვენ შურს და მტრობას ქართველთა შორის, ძმას ძმაზედ უსევენ, მამას შვილზედ, მდიდარს — ღარიბზედ, კლასს — კლასზედ და ქართულ ძალთა დაქსაქსვით მტერი უფრო მეტად ამტკიცებს თავის ბატონობას.

დიდია პასუხისმგებლობა იმ პირთა, რომელთაც ებარათ ქვეყნის მმართველობის და თავდაცვის საქმე და, რომელთაც ასე უგუნურად გასცვალეს სამშობლო ინტერესები პარტიულზედ. ისტორია პასუხს მოსთხოვს მათ, ვინც თავის უგუნური პოლიტიკით ქართველი ერი ამ დღეში ჩააგდო; პასუხს მოსთხოვს მათ, ვინც წითელ დროშას წითელი დროშა დაახვედრა, ვინც ლენინის პირად მეგობრობის და ნაცნობობის გამო, საფრთხე აშორებული ეგონა, ვინც ქართველ ერს მოუსპო თავდაცვის საშუალება რეგულიარული ჯარის დემობილიზაციით, მისი უყურადღებოდ მიტოვებით და პარტიულ ჯარის, სახალხო გვარდიის გაგატონებით, მათ ვინც აგრძელებდა ძმათა შორის ბრძოლას, ჩვენი მტრის ქვეყნიდან გადმონერგილ მტრის მიერვე ხელშეწყობილ დოქტრინის საშუალებით და მით ასუსტებდა ქართველი ერის შეკავშირებას ერთ ეროვნულ დროშის ქვეშ.

ისტორია ლმობიერია მათ მიმართ, ვინც შეცდომას დაინახავს და სწორ გზას დაადგება. ულმობელია მათ მიმართ, ვინც პირად თუ პარტიულ ყინიანობის გამო, ქართველი ერის დამღუპველ ძველ გზას აგრძელებს. ამ პირებს მოღალატე ქართველებთან ერთად ისტორია სამარცხვინო ბოძზედ გააკრავს, შეიქმნება მათ შესახებ ლეგენდები, რომ მოღალატის ლეშს მშიერი ქართული მგლებიც არ სჭამენ და გადაეცემა შვილიდან-შვილს ეს ქართულ სულში ამოქნილი სევდიანი ზღაპარი, რომ მათი ნავალი გზა სამუდამოდ იქნეს დაწყევლილი ქართველი ერის მიერ.

მათ კი, ვინც იდუმალ ხატად გულში ატარებს სამშობლოს სიყვარულს, მათ ვინც იგრძნო, რომ ძალა ერთობაშია და ქართულ კლასთა ერთმანეთში ბრძოლა ქართველი ერის დამასუსტებელია, მათ ვინც ყოველ წუთს მზად არის სამშობლოს კეთილდღეობას შესწიროს თავი მათ მოუწოდებთ მეტი ნებისყოფა, მტკიცე შეკავშირება — დარაზმვისა და გამარჯვების სურვილის ჩაუქრობლობისაკენ. ძლიერმა სულიერმა და ფიზიკურმა ერთობამ გადაგვატანინა: რომაელთა, სპარსელთა, ბერძენთა, არაბთა და თურქთა ხანგრძლივი ბატონობანი. მხოლოდ ასეთსავე შეკავშირებას შეუძლია მოგვაშოროს ნახევრად გახრწნილი ლეში რუსეთისა და ისტორიულ სასაფლაოზედ მიგვატანინოს.

ქართველებს იმედის დაკარგვა არ გვჩვევია და არც გვეწვევა.

ყოველმა ქართველმა უნდა ატაროს გულით მეტეხის ციხეში აკვნესებული ხიმღერა, რომ:

...საქართველოს თეთრი გიორგი
თავის შუბს ლესავს, პასუხს ამზადებს.

ი — შვილი.

---

## მართივი საუბარი.

ამას წინეთ გამოვიდა ბატონ ყორყოლიანის წიგნაკი

« Graves erreurs de l'Internationale Socialiste »

ავტორი, რომელიც სოციალ — დემოკრატია, გამოსთქვამს თავის უკმაყოფილობას მეორე ინტერნაციონალისადმი, რომელმაც დახმარების მაგიერ საქართველოს წინააღმდეგი რეზოლიუცია გამოიტანა თავის ბრიუსელის უკანასკნელ კრებაზე. ჩვენ არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი სიმპატია ყორყოლიანისადმი იმ გამბედაობისათვის, რომელსაც ის იჩენს მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ ხმის ამაღლებით.

სოციალ დემოკრატის მიერ ეს არაჩვეულებრივი საქციელია. სიმპატია კი სიმპატიათ, მაგრამ პატარა კრიტიკას შეაჭიროვებს ამ წიგნაკს [illegible] ეს უკანასკნელი მხოლოდ ყორყოლიანის აზრს არ გამოსთქვავს, არამედ საერთოდ ყველა სოციალ დემოკრატებისას, რასაკვირველია კ. წერეთლის ფალანგის გამოკლებით. ამიტომ ჩემი კრიტიკა გულისხმობს არა განსაკუთრებით ყორყოლიანს, არამედ სოც. დემ. პარტიას საერთოდ.

სრული ათი წელიწადი დასჭირდათ ჩვენ სოციალ — დემოკრატებს, რომ დაენახათ მეორე ინტერნაციონალის და საერთოდ ევროპიელ სოციალისტების ნამდვილი პოზიცია და განწყობილება საქართველოს საკითხისადმი.

თქვე დალოცვილებო, რა გაჩქარებდათ? ერთი ათი წელიწადი კიდევ მოგეცადათ!

ყორყოლიანი უკმაყოფილოა აგრეთვე სოციალ დემოკრატების წარმომადგენლით მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელში: «ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ კრინტი არ დასძრა-» ო. ნათქვამია: «რაც მოკიდა დავითაო ყველა შენი თავითაო». კ, წერეთელს რომ ნიშნავდით თქვენ « porte parole » ათ ინტერნაციონალში არ იცოდით რა მოგელოდათ მისგან? განა დიდი ჭკუა-გონება უნდოდა მის მიხვედრას, რომ წერეთელი საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს არ დაუჭერდა არსად? მეორე ინტერნაციონალის რეზოლიუცია ერთგული და ლოღიკური დასკვნაა კ. წერეთლის ბროშურისა, რომელიც მან ამას წინეთ ყორდანიას წინააღმდეგ დასწერა, ალბათ თვითონვე, თავის განუყრელ მეგობარ რუსის სოციალისტებთან ერთად წარადგინა ეს რეზოლიუცია.

მეორე ინტერნაციონალის რეზოლიუცია რუსის სოციალისტების ინტრიგების შედეგიაო — განაგრძობს ყორყოლიანი. ჩვენ, თეთრი გიორგელები, კერძო საუბარში, თუ გაზეთის ფურცლებზე გამოვსთქვავდით ხოლმე აზრს, რომ რუსის სოციალისტები ქართველი ხალხის იგივე მტერნი და იმპერიალისტები არიან, როგორც იყო იმპერატორის მთავრობა და ეხლა არის ბოლშევიკური.

ჩვენი სოციალ დემოკრატები თავის ჩვეულებრივი ირონიული ღიმილით გვიპასუხებდნენ ხოლმე. ოხ! რამდენი უვიცობა და ჩლუნგი გონება იმალება ყოველთვის ამ მათი ირონიული ღიმილის უკან! მხოლოდ მაშინ, როცა რუსის სოციალისტებმა აიხადეს პირბადე და ცინიკურად საქვეყნოდ გამოაჩინეს თავისი რუსული ხულიგანური პირისახე, მხოლოდ მაშინ დაინახეს სინამდვილე ჩვენმა სოციალ დემოკრატებმა. როდესაც ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას მართავდნენ ამისთანა პოლიტიკურად ბეცი და უმეცრი ხალხი, სრულიად აღარ მიკვირს, რომ ის დაღუპეს მათ... და არც ის არის გასაკვირველი, რომ აქ ევროპაშიც რვა წლის განმავლობაში და მიუხედავად მილიონების დახარჯვისა, არამთუ ვერაფერი ვერ გააკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ბევრი რამე წაახდინეს!

1920 წ. ევროპიელ სოციალისტების მთელი ხროვა ჩამოიყვანეს საქართველოში, ასვეს, აჭამეს, აქეიფეს ხალხის ხარჯზე (მხამათ შეერგოთ!) და შედეგი? ორი მაგალითი საკმარისია: 1. — მაშინ როდესაც გერმანიის მემარჯვენე მთავრობა მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მოითხოვდა რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანას, გერმანელმა სოციალისტებმა პარლამენტში საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირეს და მით რუსეთის საქართველოზე ბატონობას სანქცია გაუკეთეს.

2. — ინგლისის სოციალისტებმა ჩაიგდეს თუ არა ხელში მართვა — კამგეობა მაშინვე საქართველო რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. მე გაგახსენებ მკითხველს, რომ ინგლისის სოციალისტები სანამ მართველობას დაიწყებდნენ ჩვენს მთავრობას საქართველოს საკითხში დახმარებას ჰპირდებოდნენ. აი ამას ჰქვია სოციალისტური ღალატი.

სხვა ქვეყნების სოციალისტებიც უკეთესად არ მოვუქცნენ. ცნობილია, რომ ბატონი ვანდერველდე მხოლოდ კარგა შემკულ სუფრის თავზე ან სადმე მიტინგებზე ლაპარაკობს ხოლმე ჩვენ სასარგებლოდ, მაგრამ სადაც კი დახმარება საჭიროა ჩვენ წინააღმდეგ მიდის. ისევე მოიქცა მე 2 — ინტერნაციონალის ბრიუსელის ყრილობაზე. რამდენჯერ გვითქვამს ჩვენი სოციალ დემოკრატებისათვის: «ნუ უჯერებთ ევროპიელ სოციალისტებს ისინი ჩვენ ყოველთვის რუსის თმა დაუვარცხნელ სოციალისტებზე გაგვცვლიან.» ეს იმიტომ, რომ მეორე ინტერნაციონალი სამართლიანობას კი არ მისდევს, არამედ უყურებს ძალას. ის რუსეთში ხედავს მეტ ძალას, ვიდრე საქართველოში და რუსეთიდან უფრო დიდ სარგებლობას მოელის ვიდრე ჩვენგან. ეს პოლიტიკა აშკარაა, მაგრამ ჩვენ ფანატიკ სოციალ დემოკრატებს განა საღ და რეალურ აზროვნებაზე დააყენებს ვინმე?

აი, დღეს მეორე ინტერნაციონალს გამოაქვს საქართველოს წინააღმდეგი რეზოლიუცია და სოც. დემ. აყვირდნენ! გვიანღა გახლავთ ბატონებო! თქვენმა ინტერნაციონალისადმი პოლიტიკამ ევროპის მთავრობებთან უკვე გზა მოგიჭრათ!

როგორ ყველაფერში აგიხდათ ჩვენი სიტყვები! კიდევ ბევრ რამეში გაგიმართლდებათ თეთრი გიორგის დიაგნოზი.

ყორყოლიანი თავის წიგნაკის მე 18 გვერდზე ინტერნაციონალიზმს მოახსენებს: «... ჩვენ დემოკრატებთან (ეროვნულ დემოკრატებთან) და სოციალისტებთან (სოც. რევ. და სოც. ფედ.) მხოლოდ დ რ ო ე ბ ი თ ი კავშირი გვიჭირავსო-» ო.

ჩვენ კი ვიცით და ამას დაუმტკიცებთ, რომ სოც დემოკრატებს ზემო აღნიშნულ პარტიებთან ფორმალური ხელშეკრულება აქვთ დადებული, რომლის ძალით სა. ერთო ფრონტის კავშირი დამოუკიდებელ საქართველოშიც უნდა განიგრძოს სადაც საკოალიციო მთავრობა უნდა შესდგეს: მაშ ვის ატყუებენ სოციალ დემოკრატები მეორე ინტერნაციონალს თუ თავის «საერთო ფრონტის» მოკავშირეებს? ვიზაც არ უნდა ატყუებდნენ ეს ფაქტი მათ ქამელეონობას და ჰიპოკრიტულ ბუნებას ძალიან ახასიათებს. ტყუილების და ინტრიგების პოლიტიკას ყოველთვის იმ დამარცხებამდის მიჰყავს ყველა, რომელიც ყველგან და ყოველთვის თქვენ გემართებათ. «არ გაგივიდა თარხანო სულ მუდამ შენი ტყუილი». მაგრამ ესეც კია, რომ ჩვენ უბედურ ეროვნულ დემოკრატებთან ტყუილებიც გაგდით და ძალაც. რას იზამ? ჩაიგდეთ ხელში პოლიტიკურ გზა აბნეული ხალხი, იმსახურებთ და თქვენ ნებაზე ათამაშებთ.

არაბული ანდაზა ამბობს: «თიხის ქოთანს რკინის ქოთანთან ერთად მდინარეში ცურაობა ხელს არ მისცემსო» თეთრი გიორგელები მუდამ ვეუბნებოდით ეროვნ-დემოკრატებს: დაიცადეთ ჯერ მთელი ეროვნული ძალები შევაკავშიროთ, დავრაზმოთ, მოვაწყოთ, შევქმნათ

ამნაირად საჭირო ძალთა განწყობილება ჩვენსა და სოციალისტებს შორის და ცურვ ისე შევიდეთ საერთო ფრონტში, თორემ თუ მარტო დავრჩით იქ თქვენი პარტია დაინგრევა და საქმესაც ვერ გააკეთებთ». მაგრამ ვის დაუჯერებს? მოლა ნასრ ედინისავით ისე ქუდ მოგლეჯილები შევცვივდნენ შიგ, მაგრამ ბოდიშს ვიხდი, თემას ავცდი და ისევ ყორყოლიანს უნდა დავუბრუნდე.

ყორყოლიანი თავის წიგნაკში გამოსთქვამს სიყვარულს იტალიელ ხალხისადმი, რომელიც მისი აზრით ფაშისტების ხელში იტანჯება. «უკუდო ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერიებდაო»! თქვე დალოცვილებო, ლოშილის გალში ხვირიანი გოლოკი ვერ მოგვიყვანიათ და იტალიელ ხალხის ვადარჩენას ლამობთ?

იტალიის დიდებულო და გენიოსო ხალხო, რომელმაც წარმოშვი რომულოსი, იულიოს კეისარი, დანტე და მიქელ ანჯელო, კავური და გარიბალდი, ორლანდო და მუსოლინი, რომელმაც სამჯერ გადაარჩინე კაცობრიობა ვარვაროსებიდან და დღეს ჩვენ თვალ-წინ იხსნი მსოფლიო ბოლშევიკებისაგან, — სოციალ დემოკრატების პროპაგანდისტი, ნიგოეთელი მოქალაქე ტანჯვებისაგან გიხსნის გიპირებს! ღმერთო დიდებულო, როგორ გაგვამასხარავეს ქვეყნიერების წინაშე ქართველი დარბაისელი ხალხი ამ რუსის ნიჰილისტების კარიკატურებმა?! კიდევ კარგი, რომ გუზის ბზუილი სპილოს ყურებს არ სწვდება, თორემ რა სასაცილო გავხდებოდით იტალიელ ხალხის თვალში ყორყოლიანის ბროშურას რომ მისადმი მიეღწია!

ბატონო სოციალ-დემოკრატებო, იტალიის დღევანდელ ბედზე შორს ნუ წაგრძანდებით, ამის შესახებ შეეკითხეთ სამ-ნახევარ მილიონ მუშას, რომლებიც ფაშისტურ სინდიკატებში იმყოფებიან.

ლეო კერესელიძე.

ქ. ნიცა. 30 ქრისტიშობა 1928 წ.

---

## ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე გ რ ი ო ბ ა თ უ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ მ ი.

«ვინც დაკარგა სამშობლო, მან დაკარგა ყველაფერი» ამბობს ერთი მეცნიერი.

ჩვენ დავკარგეთ სამშობლო და მისი დაკარგვით, რომ ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ ამას განსაკუთრებული სიმწვავით ვგრძნობთ აქ, ემიგრაციაში მყოფი და იქ რუსულ—კომუნისტურ ძონობაში მყოფი ქართველობა.

ჩვენი სურვილია, ქართველმა ხალხმა მიუდგომლად შეაფასოს წარსული სინამდვილე, რათა იცოდეს თუ რა აკეთოს მომავალში.

## წ ი ნ, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ო ბ ი ს ა კ ე ნ.

გერმანეთის სწრაფი ეკონომიურ—პოლიტიკური აღორძინება, შედეგია უმთავრესად დიდ ფილოსოფოსის ჰეგელის სწავლის, სახელმწიფოს და პიროვნების დამოკიდებულების შესახებ.

ჰეგელის იდეა, რომ «სახელმწიფო, როგორც საერთო ნების-ყოფის გამომხატველი სდგას ინდივიდის ნების ყოფაზედ მაღლა», რომ «სახელმწიფოს უნდა მოწიწებით მოვეპყრათ, როგორც ამ ქვეყნიურ ღმერთს», შეითვისა და შეისისხლხორცა ბავშობიდანვე გერმანელმა.

კანონებისადმი პატივისცემა და მისი ზედმიწევნით შესრულება, გერმანელის დამახასიათებელი თვისებაა. პირადი სურვილების და კეთილ-დღეობის, სახელმწიფოს ინტერესებისადმი შეთანხმებამ და დამორჩილებამ შეჰქმენა ის უდიდესი სახელმწიფოებრივი შეგნება, რომელიც პრუსიულ ეტატიზმათ არის ცნობილი.

1871 წ. გერმანელების გამარჯვებას, სამართლიანად აწერენ სახალხო სკოლების და ყაზარმების გავლენას. პატარაობიდანვე სკოლებში გერმანელს უნერგავდნენ სამშობლოსადმი სიყვარულს და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის თავდადებას.

ყაზარმებში ჯარისკაცებს არწმუნებდნენ, რომ გერმანეთი რჩეული და ყველაზედ უმაღლესი ერია.

ასეთი აღზრდა ჰქმნიდა გერმანელში ეროვნულ სიამაყეს და გატაცებას.

რკინის კანცლერმა ბისმარკმა ფილოსოფოს ჰეგელის სახელმწიფოებრივი იდეა, მთლიანი და ძლიერი გერმანეთის შექმნით დააგვირგვინა.

ასეთი იყო სახელმწიფოებრივი შეგნება, მონარქიულ წესწყობილების დროს. დღევანდელ დემოკრატიულ გერმანიაში, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ამის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ სამართლიან შეფასებას. «ჰეგელის შემდეგ, მისი თეორიების თანახმად გერმანეთის ლიტერატურა, აზროვნება და ფილოსოფია უმორჩილებს ინდივიდს სახელმწიფოს, მაშინ როდესაც დემოკრატია სრულიად საწინააღმდეგოდ ემყარება პიროვნების და სახელმწიფოს წინააღმდეგობაზე, პიროვნების უზენაესობაზე, რომელიც კონტროლს უწევს სახელმწიფოს».

ჯერ კიდევ ოთხი საუკუნის წინეთ სახელმწიფოებრივი იდეის გენიალური დამხატველი იტალიელი მაკიაველი ამბობდა: «შეუძლებელია სახელმწიფოს დაცვა მხოლოდ სიტყვებით». ჩვენში დამოუკიდებლობის დროს, წინააღმდეგ ამ დებულებისა, საქართველოს მმართველობა, გადაჭარბებულ მიტინგებსა, კრებებსა, რეზოლიუციებსა და ცალიერ ფრაზეოლოგიაში გამოიხატებოდა.

იგივე მაკიაველი დასძენდა: «ანტითეზა (წინააღმდეგობა) ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ფატალურია» მართლაც სახელმწიფოს და ინდივიდს შორის მუდმივი ბრძოლაა. პირველი ზღუდავს მეორის ნების-ყოფას, საზოგადოების და სახელმწიფოს სასარგებლოდ. პიროვნებისათვის ზედმეტი თავისუფლების მინიჭება ქმნის ანარქიას, რისი შემაწუხებელი შედეგები მასვე ატყდებიან თავს.

ასი წლის განმავლობაში ჩვენ არ გვქონია საკუთარი სახელმწიფო, ამის გამო ქართველ ხალხში სახელმწიფოებრივი შეგნება, დღეს ძლიერ დაცემულია. სამი წლის დამოუკიდებლობამ ამ მხრივ არაფერი შეცვალა, რადგან სიტყვით ფართო—დემოკრატიული, ხოლო საქმით პარტიულ—ოლიგარხიული მთავრობა ზემო-მოყვანილ იდეებს ეწინააღმდეგებოდა.

თუ მომავალში საქართველო უნდა იქნეს ძლიერი სახელმწიფო, სადაც წესრიგი, შრომა და სამართლიანობა იმეფებს, საჭიროა ერში სახელმწიფოებრივი შეგნების შეტანა და გაღრმავება. შეიძლება ჩვენ ვერ მივაღწიოთ ამ შეგნების გერმანულ დონეს, მაგრამ მთელი ჩვენი ცდა სახელმწიფოებრივი შეგნების უფრო და უფრო გაღრმავებისაკენ უნდა იყოს მიმართული. ცხადია, ეს არ იქნება უცხო იდეების ჩვენში გადანერგვა. რადგან ცნობილია, რომ არის უნივერსალური იდეები, რომელიც საუკუნოების განმავლობაში კაცობრიობისათვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია.

ქართველი ხალხი არ არის ბუნებით ანარქიული, მას უყვარს წესრიგი და მოითხოვს სამართლიანობას, ამიტომ ის სახელმწიფოებრიობის იდეას მიიღებს და შეითვისებს. თავის-თავად ცხადია, რომ ზემონათქვამიდან არ გამომდინარეობს პიროვნების ნების-ყოფის სავსებით შეწირვა სახელმწიფოსადმი, არამედ მისი ზოგადი შეზღუდვა კანონის წინაშე, თანასწორობის და პოლიტიკური თავისუფლების დაცვით.

## დ ა ვ ი ც ვ ა თ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა.

სოციალისტების მიზანია, მთავრობას თუ სახელმწიფოს გადაეცეს ვაჭრობა-მრეწველობა და საერთოდ ერის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმე. ეს სოციალისტური ეტატიზმი ეკონომიკაში, სავსებით გაკოტდა სინამდვილეში.

ექსპერიმენტალურად დამტკიცებულია, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს არ ძალუძს კერძო ინიციატივის ადგილის დაჭერა. მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს:

ა. როცა საფრანგეთის სავაჭრო ფლოტი კერძო კომპანიების ხელში იყო, მას ევროპაში მეორე ადგილი ეჭირა, ხოლო გადავიდა რა (ომის დროს) სახელმწიფოს ხელში, იმდენად დაქვეითდა, რომ მეხუთე ადგილი დაიჭირა.

ბ. ავტომობილების წარმოება, ევრმა კაპიტალისტმა სცადა. უმრავლესობა გაკოტრდა, წააგო მრავალი მილიონები. უმცირესობამ ბევრი ცდის შემდეგ გაიმარჯვა და შეჰქმნა ძლიერი საავტომობილო წარმოება, რომელთა მოწამე დღეს ჩვენ ვართ.

ეს წარმოება რომ მთავრობის ხელში ყოფილიყო, ვერც ერთი, მთავრობის მიერ დანიშნული დირექტორი, ვერ გაბედავდა რისკის გაწევას და მილიონების დახარჯვას უშედეგო ცდებისათვის. მას ხომ თავს მოჰკვეთდნენ, როგორც სახელმწიფო ქონების გამფლანგველს?!

სახელმწიფოს ხელში ვაჭრობა-მრეწველობის გადასვლა, ნიშნავს მის მოსპობას. ამის საუკეთესო მაგალითი რუსეთია. კომუნისტები ცდას არ აკლებენ, ენერგიულად მუშაობენ წინასწარი გეგმებით, მაგრამ ყოველი მათი წამოწყება განწირულია.

სახელმწიფოს ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, ხელმძღვანელთა უშუალოდ არ დაინტერესება საქმით, ჰკორკავს ვაჭრობა-მრეწველობას.

თუ ჩვენ მივიღებთ საფუძვლად, პრაგმატიულ ფილოსოფიას, რომელიც ყოველ იდეებს სარგებლიანობის თვალსაზრისით უდგება, უნდა გადაჭრილად უარვყოთ სოციალისტური ეტატიზმი ეკონომიკაში. ინგლისი და განსაკუთრებით ამერიკა, ეს მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები, ტიპიური ინდივიდუალური ეკონომიკის სახელმწიფოები არიან, ომის წინ გერმანეთმა თავის ეკონომიურ სიძლიერეს მხოლოდ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებით მიაღწია.

ლათინურ სახელმწიფოებში, კერძო ინიციატივის ფუნქციებს, ზოგჯერ სახელმწიფო ითვისებს, რის შედეგიც ყოველთვის უარყოფითია. ეს კარგად შეიგნო ფაშისტურმა იტალიამ და მართვა გამგეობის მის ხელში გადასვლისთანავე, გადასცა კერძო საზოგადოებებს ვაჭრობა—მრეწველობის ის დარგები, რომელიც სახელმწიფოს უმართებულოდ ჰქონდა მითვისებული.

სხვა და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებიდან მიღებულ გამოცდილების მიხედვით, საქართველოს ეკონომიურ აღორძინების ერთად ერთი გზა, ინდივიდუალური ეკონომიკის ცხოვრებაში მტკიცედ გატარებაა, წინააღმდეგ სოციალისტური ეტატიზმისა. მხოლოდ კერძო ინიციატივისათვის ფართო, შეუზღუდავი ასპარეზის მიცემით, თავისუფალი კონკურენციით, ეკონომიკის ვარდუვალი მიწოდება-მოთხოვნილების კანონის დაცვით, შეიძლება გამარცხულ საქართველოს ფეხზედ წამოყენება. ეს არის ჩვენი მთავარი პრინციპი. ცხადია აქაც შეიძლება დაუშვათ ზოგი ნიუანსები, სახელმწიფოს ფრთხილი ჩარევის კერძო ინიციატივაში, თუ მთავრობა დაინახავს, რომ ის მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ.

## გ ა ნ ვ ი კ უ რ ნ ო თ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ს ე ნ ი დ გ ა ნ.

სოციალისტები მუდამ, თავისუფლების და ხალხის უმრავლესობის, დამცველის როლში გამოდიან. მაგრამ თუ მათ ნიღაბს ჩამოვხდით, დავინახავთ, რომ ისინი თავისუფლების და ხალხის უმრავლესობის, ნამდვილი მტერი არიან.

მათი მოძრაობის ისტორიისათვის ერთხელ თვალის გადავლებაც საკმაოა, რომ დავინახოთ, რომ ყველგან, სადაც კი მათ მიეცათ საშვალება მართვა—გამგეობაში მონაწილეობის მიღების, პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისების გაზმირება-გართულება მეტი არაფერი მიუღია ხალხს.

სოციალისტები [illegible] მატერიალურ ვარგლებში, მათ დროს ეროვნული სიკეთით მხოლოდ მათი პარტიული ამხანაგები სარგებლობენ, ისინი ანხორციელებენ ერთი ჯგუფის ბატონობას, ხალხის უმრავლესობაზედ. გარდა ამისა, მათი სოციალისტური ეტატიზმი, ართმევს მოქალაქეს თავისუფლებას. ფრანგი მეცნიერი ლებონი ამბობს ამაზედ: «სოციალისტების ეტატიზმი, წარმოადგენს ერთი ანონიმური კასტის ოტოკრატიას და როგორც ყოველი კოლექტიური დესპოტიზმი, ის ლოდივით აწევს ყოველ მოქალაქეს. მისი განვითარება გამოიწვევს ყოველგვარი თავისუფლების მოსპობას და კაცს გარდაქმნის მონად».

სოციალისტებს არ შესწევთ უნარი ქვეყნის მართვის, განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენებურ მართლ-მორწმუნე მარქსისტებზედ. გავიხსენოთ დამოუკიდებლობის დროიდან ბ. ერაძის ტალახიანი პური, ბ-ნ ნ. ელიავას მიერ, ზამთარში ტფილისის სრულიად უსათბოდ მახალოდ დატოვება და სხვა მრავალი. მმართველი პარტია, ყველა ამას ხომ «ოგიექტური» პირობებით ხსნიდა?!

1920 წ. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეულ ეკონომიურ თათბირზედ, ერთი მენშევიკი უსაყვედურებდა იქ მყოფ მთავრობის წევრებს, რომ ისინი ავტომობილებით დასეირნობენ და ავტომობილების დაჯახზების შიშით, გავშვება სკოლაში ვერ აგზავნის. ცხადია ეკონომიურ თათბირის ასეთ დაწვრილმანებიდგან, არავითარი დადებითი შედეგის ძიება არ შეიძლებოდა.

სოციალისტები ჩაიგდებენ თუ არა ხელში მართვა-გამგეობას, სპობენ ყველა მორალურ და ეკონომიურ ფუძეებს, არსებულ წესწყობილებას რომ ასაზრდოებენ.

ამერიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჰუვერმა) თავის პროგრამულ სიტყვაში განაცხადა: «მე დავიცავ ოჯახს. რადგან ის არის სახელმწიფოს ძირითადი საფუძველი-ო».

ეს კარგად ესმით ყველა დაწინაურებულ ერებს. ჩვენში კი, სოციალისტებმა და კომუნისტებმა დაშალეს ოჯახი, ეს ერის მორალის ფუძე; წაბილწეს ეკლესია-სარწმუნოება, შეურაცხყვეს ერის საუკუნოვანი ტრადიციები, მიაფურთხეს წინაპართა საფლავებს (კომუნისტებმა ჩვენს სასწავლებლებში, საქართველოს ისტორიის სწავლება მოსპეს) და სხვა და სხვა, მაგრამ საქართველოს ორგანიზმი საკმაოდ ძლიერია ის გადაიტანს ამ ავადმყოფობას და სრულიად გაჯანსაღებული დაიწყებს ახალ ცხოვრებას.

## ხ ს ნ ა ე რ ო ვ ნ უ ლ დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ა შ ი ა.

ცნობილია, რომ ერთ-ერთი მთავარ მიზეზთაგანი დამოუკიდებლობის დაკარგვისა, იყო ეროვნული შეგნების დამშლელი მუშაობა სხვა და სხვა ჯურის სოციალისტები რომ აწარმოებდნენ, რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში.

სამშობლოსადმი თავგანწირვის გრძნობა აღარ ატოკებდა ქართველის გულს განუსაზღვრელი სიძლიერით, ჩვენი წინაპრების განუშორებელი თვისება რომ იყო.

აქ უკანასკნელთ კარგად იციდნენ, რომ სამშობლო განყენებული ცნება არ არის, რომ მისი დაკარგვა ნიშნავს მთლიანად სახელმწიფოსთან ერთად, ყოველ ქართველის პირადი სიკეთის, მორალური თუ ეკონომიური კეთილდღეობის დაკარგვას.

ჩვენი დღევანდელი დაკნინება, ქონებრივ საშუალებათა ისე როგორც ერის მორალურ ფუძეთა შერყევა, შედეგია ჩვენ ქვეყანაში უცხო ძალის ბატონობის. მკვდრეთით აღმდგარი საქართველოს ხსნა, ისეთ ეროვნულ შეგნებაშია, როცა ყოველი ქართველი იბრძოლებს თავის ქვეყნის დასაცავად თავ-დავიწყებით, ანგარიშ-მიუცემლად და მისთვის სიკვდილში დაინახავს სიამოვნებას. ასეთია რწმენა, ყველა ეროვნულად ჩამოყალიბებულ ხალხისა ასე იყო ჩვენშიაც მრავალი საუკუნის განმავლობაში. ქართველ ხალხში უკვე გაიღვიძა ასეთმა სულისკვეთებამ, მისი წინამძღოლი, დღეს მხოლოდ ეროვნული დროშაა და ისიც კი ვინც მას ათეული წლების განმავლობაში ფეხქვეშ სთელავდნენ დღეს მის ქვეშ იფარებენ თავს.

დარწმუნებულნი ვართ მებრძოლი საქართველო მალე შეუერთდება და გზიარება სამშობლოსათვის დახოცილ წინაპართა რაინდული სულით.

სამშობლოს განთავისუფლებით, ქართველი ხალხი აღადგენს თავის კეთილდღეობას, ოჯახურ სიწმინდეს და სიმშვიდეს, ეხლა ასე უზომოდ რომ არის შერყვნილი. ყველას მიეცემა საშუალება პირადი უნარის და ცოდნის მიხედვით შექმნას თავისი ეკონომიური და მორალური კმაყოფილება. ხსნა, ჩვენი ეროვნულად გაწრთვნის, ჩვენ მტკიცე და ურყევ, ეროვნულ დისციპლინაშია.

თუ სოციალისტური იდეებისათვის, რომელსაც არც თავი აქვს არც ბოლო, ქართველები ასობით მიდიოდნენ «კატორღაში», იხოცებოდნენ და ათასგვარ გაჭირვებას იტანდნენ, სამშობლო! ეს ხომ მათი სული და ხორცია და ამ დიად შარავანდედით მოსილ მიზნისათვის ათასობით და ათიათასობით, გაათკეცებული თავგანწირვით იბრძოლებს ახალი საქართველო.

დ. კ——შვილი.

## «საქართველო უწინარეს ყოვლისა.»

### მოწოდება ქართველ ქალის და ქართველ ოჯახისადმი.

მე ვიყავ წევრი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა მის დაარსებიდანვე და გულწრფელად ვემსახურებოდი მას. არცა ვნანობ ამას, რადგან მაშინ ქართველ პარტიათა შორის ისევ ეროვნულ დემოკრატიული პარტია ცოტათი მაინც უახლოვდებოდა ეროვნულ იდეას. მაგრამ თუ ამ 15—17 წლის წინეთ ეროვნულ დემოკრატიული პარტია ეროვნულ იდეას მხოლოდ უახლოვდებოდა დღეს ის სავსებით ასცდა მას. დღეს თუ ეს პარტია არის დემოკრატიული, ყოველივე შემთხვევაში, აღარ არის ეროვნული.

ამ პარტიის დაარსების შემდეგ რთულმა და მრავალ ფეროვანმა ისტორიულმა მოვლენებმა ჩვენი ერის ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები შეიტანეს.

ეს რთული მდგომარეობა შეუმჩნევლად რჩება ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას, რომელიც გაშეშდა პარტიულ აზროვნების გაყინულ წერტილზე. ამ ნაკლს ამძიმებს კიდევ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში მის მრავალ «ლიდერთა» მიერ შექმნილი ანარქია. ყოველივე ამან მთელი პარტია მოამწყვდია იმისთანა ინტრიგების და პოლიტიკურ სიბნელის ლაბირინტში, რომ ერთად—ერთი გამოსავალი გულწრფელ პატრიოტისათვის მხოლოდ ამ პარტიიდან გამოსვლაა. ღირსეული ადამიანი უნდა იყოს სამშობლოს პატრიოტი და არა პარტიის პატრიოტი.

მე ამიერიდან თავს ვანებებ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას და შევდივარ თეთრი გიორგი-ში, რომელმაც პირველმა ამართა დროშა ინტეგრალურ ნაციონალიზმისა; რომელმაც პირველმა წამოაყენა გრანდიოზული იდეა: «საქართველო უწინარეს ყოვლისა».

ეს იდეა შეიქმნება ქართველ ხალხისათვის მის აღორძინების გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად და იმეფებს საუკუნეთა განმავლობაში ქართულ აზროვნებაზე, შემოქმედებაზე, ეროვნულ ცხოვრებაზე.

მე შევდივარ თეთრი გიორგი-ში, რომელიც ისტორიაში იშვიათი სიმტკიცით მიდის დასმულ მიზნისაკენ და ღრმადა მწამს, ძლევა-მოსილი გაივლის საქართველოს ერთი კიდიდან მეორემდე! დიმიტრი ყიფიანის შვილი—შვილის ადგილი მხოლოდ თეთრი გიორგიშია. მუხლს ვიყრი თეთრი გიორგის სიდიადის წინაშე და სახოვებით, მოკრძალებით, მაგრამ ბედნიერებით სავსე გულით შევდივარ თეთრი გიორგის ძმურ ორგანიზაციაში, როგორც წმინდა და უმწიკვლო ეროვნულ ტაძარში. ჩემ სახელოვან წინაპართა და პაპის ჩემის დიმიტრის წინაშე ვდებ აღთქმას: ვიცოცხლო და მოვკვდე თეთრი გიორგისათვის.

ჩემ პატრიოტულ მოვალეობათ ვრაცხ ამ მოწოდებით მივმართო ქართველ ქალებს და ქართველ ოჯახებს.

ყოველ კულტუროსან ხალხს აქვს საკუთარი კულტურა, რომელზედაც დამყარებულია მისი ეროვნული ცხოვრება. ეროვნული კულტურა შესდგება: ენიდან, სარწმუნოებიდან, ოჯახიდან, ტრადიციებიდან. ეს ელემენტებია მხოლოდ და მხოლოდ, რომ ხალხს ჰკუმშავენ ერთ ორგანიზმათ და აძლევენ მას ეროვნულ სახეს. ეროვნულ კულტურის დანგრევასთან ერთად ირღვევა ერიც, ის აღარ წარმოადგენს კოლექტიურ ორგანიზმს, სტოვებს საკუთარ ტერიტორიას და იფანტება ქვეყანასა ზედა

ქართველ ერმაც საუკუნეთა განმავლობაში თავის გენიით, შრომით და შემოქმედებით დაიმუშავა საკუთარი ორიგინალური, გაფაქიზებული და უმაღლესი კულტურა. ამ კულტურის უმაღლესი ამამოძრავებელი, სულის ჩამდგმელი და ცხოვრებაში განმახორციელებელი იყო ქართველი ქალი. ქართველი ქალი ასწავლიდა ახალგაზრდოებას ჩვენ მწერლობას და ამეტყველებდა მას რუსთველის ენაზე; ქართველი ქალი ზრდიდა მამულიშვილთა და თავდადებულ გმირთა; ის ზრდიდა და აშზადებდა შვილს სამშობლოს მსხვერპლად და სწორედ ამ ეროვნულმა აღზრდამ იხსნა საქართველო მრავალ განსაცდელისაგან; ქართველ ქალს წმინდა ნინოს ე. ი. ქართველ ქალისგანვე გადმოცემული ჯვარი საუკუნეთა განმავლობაში მაღლა ეჭირა, მიწს არ დაუშვია და მუდამ ქრისტეს მცნების მატარებელი იყო; ქართველი ქალი სულს უდგამდა ჩვენს ოჯახს, რომელიც იყო უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო ეროვნულ შემოქმედებისა, ვინაიდან ის თამაშობდა უმთავრეს როლს პიროვნებათა გონებრივ და სულიერ აღზრდაში; ქართველი ქალი იყო ცოცხალი მაგალითი ქართულ მაღალ და ფაქიზ ზნეობისა.

ეს მაღალი სოციალურ—ეროვნული დანიშნულება რომელსაც ასრულებდა ქართველი ქალი, აყენებდა მას მამა-კაცის სიმაღლეზე და სავსებით უთანასწორებდა მას. ამ დიდმა დანიშნულებამ ქართველი ქალი მამა-კაცთან გაათანასწორა თვით პოლიტიკურ უფლებაშიაც კი, რის უმთავრესი მაგალითები არიან: თამარ მეფე, რუსუდან დედოფალი, დედოფალი რუსა, რომელმაც განაახლა მცხეთის ტაძარი, ქეთევან წამებული, მარიამ დედოფალი, ფარნაოზ მეფის დედა და მისივე და, გიორგი სააკაძის ცოლი თევდე და ბევრი სხვანი.

ხოლო რუსეთის ჩვენზე ხანგრძლივმა ბატონობამ შეარყია, შერყვნა და ნაწილობრივ კიდევაც დაანგრია ჩვენი კულტურის აქამდის მტკიცე საფუძვლები.

ამ ეროვნულ ნგრევის საქმეში რუსის მთავრობასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მოქმედობდნენ ჩვენი სოციალისტები, ვინაიდან თავის გაჩენის დღიდანვე ებრძოდნენ და ებრძვიან საქართველოში ოჯახს, ტრადიციებს, სარწმუნოებას, ზნეობას და ქართველთა შორის საუკუნეთა მიერ შექმნილ ძმურ სოლიდარობას. ამ ორი მხრიდან მოტანილმა იერიშებმა, როგორც ზემოდ ვსთქვი, შელახა და დააქვეითა ჩვენი კულტურა და მასთან ერთად ეროვნული შეგნება. ამ გარემოებამ ქართველ ქალს დააკარგვინა თავისი სოციალურ-ეროვნული როლი და მაშასადამე მამა-კაცისადმი თანასწორობის მდგომარეობა. თუ უწინ მამა-კაცის და ქართველი ქალის მდგომარეობა და მათი სოციალური როლი თანასწორდებოდნენ კულტურულ და თვით პოლიტიკურ შემოქმედებაშიაც კი, — რუსეთის გამათახსირებელი გავლენა შეეცადა დაეკარგვინებინა ჩვენი ქალისათვის ეს მდგომარეობა და მამა-კაცთან გაეთანასწორებინა მხოლოდ უბნეობაში ან სოციალისტურ სისულელეების როდვაში. ნაწილობრივ კიდეც მიაღწია ამ მიზანს, ვინაიდან მოსკოვის გავლენამ ბევრი ჩვენი ქალთაგანი შეჰქმნა რუსის ქალთდაგვარად ორი ტიპათ: კომიკური ტიპი რუსის ნიგილისტისა და უზნეო, ოჯახის დამტოვებელ ქალისა. ამ გამხრწნელ მიზნისათვის რუსები დიდით შეიარაღებულნი არიან თავიანთ ანომალურ ლიტერატურით და ფილოსოფიით, რომლის მარგალიტები ბრძანდებიან კუპრინი, ანდრეევი, გორკი, არტიბაშევი, ლენინი, დანი, პლეხანოვი, ჩერნოვი, ბაკუნინი, კერენსკი და ბევრი მათი მსგავსი დეგენერატები. და განა რუსულ ხელოვნების ყველა დარგში თუ სოციალურ აზროვნებაში ყოველთვის უპირატესი ადგილი სწორეთ ზნეობრივ და გონებრივ დეგენერატებს და კრიმინალებს არ უჭირავთ? ხოლო რომელმა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიამ აიმაღლა ხმა ყოველივე ამის წინააღმდეგ? არც ერთმა. ამ გამხრწნელ გავლენის წინააღმდეგ წამოიჭრა მხოლოდ თეთრი გიორგი — და ამის შესახებ მან სთქვა უდიდესი სიმართლე:

«ფუჭი და უნიადაგოა ყოველ გვარი იდეოლოგია და პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა თუ არ აღვადგინეთ ეროვნულ კულტურის დაზიანებული საფუძვლები». მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი მხარე თეთრი გიორგის ასპარეზისა. იგი შეეხო ქართულ ცხოვრების ყველა მხარეს და ეროვნული პრობლემა დასვა მთელი თავისი სიგრძე სიგანით, მთელი თავისი მნიშვნელობით. თეთრი გიორგი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ეროვნულ პრობლემათა დასმით: ის აუჩქარებლათ, მეთოდიურად ურყეველი სიმშვიდით, უმაგალითო სიმტკიცით ჰქმნის ორგანიზაციის იმგვარ ტიპს, რომელიც შესძლებს ყველა ამ პრობლემათა ერის სასარგებლოდ გადაწყვეტას.

მე მოუწოდებ ყველა იმ ქართველ ქალებს, ვის გულში კიდევ ღვივის პატრიოტული ცეცხლი, ვის საბოლოოდ არ დავიწყებია უბედური სამშობლო, გატაცებით და თავგანწირულებით შევიდნენ თეთრი გიორგი-ში, შეამკონ ის თავის ენერგიით, გააძლიერონ თავის შემოქმედებით.

ქართველო ქალებო! მე მწამს, რომ თქვენში გაიღვიძებს ისტორიული «ქართველი ქალი» და თეთრი გიორგი დაგიბრუნებთ თქვენ მიერ დაკარგულ ეროვნულ კულტურულ როლს და აგიყვანთ საზოგადოებრივ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ბუნებრივად, ყველგან უნდა იდგეს ქალი საერთოდ. ხოლო ეს უფლებები უნდა მოიპოვოთ თქვენი შრომით და ბრძოლით თეთრი გიორგის რიგებში. როდესაც ადამიანი მიისწრაფის მაღალ მიზნისათვის ჯერ ის თავის ღვაწლით, შემოქმედებით და სულიერი გაფაქიზებით უნდა გახდეს ამ მიზნის ღირსი.

მე მოუწოდებ ქართულ ოჯახებს: დაიბრუნეთ ეროვნული იდეა და სული, რომელიც უწინ თქვენ კერასთან ბუდობდა მყუდრო თავშესაფარს და რომელსაც დღეს თეთრი გიორგი გიქადაგებთ. თეთრი გიორგისთან ერთად, მხარ დამხარ მოღვაწეობით თქვენ დაუბრუნდებით იმ სულიერ და კულტურულ მდგომარეობას ურომლისოთ ოჯახი ინგრევა და მასთან ერთად ირღვევა ერიც.

ბარბარე ყიფიანის ასული.

მონაკო. პირველი იანვარი 1929 წელი.
ბრიუსელის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის პროფესორი, Revue psycologique -ის ყოფილი მდივანი, ლორეატი პარიზის მედიკურ აკადემიისა.

---

## დისციპლინა.

(წაკითხული ბ. ი. ოთხმეზურის მიერ თეთრი გიორგი-ს პირველ ყრილობაზე.)

ჩემი თემის საგანს დღეს დისციპლინა შეადგენს და მე შევეცდები გავაშუქო ის თქვენს წინაშე.

დისციპლინა ნიშნავს წესრიგს; მიღებული ბრძანების დამორჩილებას, კანონის შეცნობას და განხორციელებას.

ყველგან, სადაც კი არსებობს დანიშნულების აღსრულება და შეერთებით გა[illegible] — [illegible]რაობს დისციპლინით.

დისციპლინა წააკავს ნერვიულ სისტემას სხეულში. თუ კი დისციპლინა დაახლოვებით ასე მარტივათ გვამლევს საშუალებას დავახასიათოთ, სინამდვილეში განუსაზღვრელი სიდიდისაა და მრავალ-გვარი ხასიათის.

ჩვენ აქ თეთრი გიორგული დისციპლინა გვაინტერესებს. მასზე ლაპარაკი კი ნიშნავს ჩვენ სიცოცხლეზე ლაპარაკს. თეთრი გიორგი-ს დისციპლინის ბუნება რომ გავიგოთ, საჭიროა შევეხოთ ჩვენ მთავარ მიზანს, სახელდობრ: ეროვნულ სახელმწიფოს, რადგან ეს არის ჩვენი დისციპლინის იდეური სათავე. ვილაპარაკოთ ერზე, რადგან იგი იძლევა საერთო აღზრდას დისციპლინაში. ჩვენ მთავარ მდივანზე და მეთაურებზე, რადგან ესენი არიან ჩვენი დისციპლინის საქმიანი და ცოცხალი სათავე. დაბოლოს თვითეულ ჩვენგანზე, როგორც მოვალეობის აღმსრულებელზე, ჩვენი დისციპლინის და სულის გამომხატველნი. ბოლოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიების ხასიათზე და დისციპლინაზე. უნდა მივიღოთ მთელი სახე საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობათა და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია გავიგოთ ბუნება დისციპლინისა, რომელიც ჩვენში უკვე არის და, რომლის გაწვრთნაშიც უნდა აღვიზარდოთ. შპენგლერი ამბობს: «თავმოყვარეობის გრძნობა, მოვალეობის გრძნობა, დისციპლინა და გადაწყვეტის უნარიანობა არ შეისწავლება წიგნებიდან-ო».

### ეროვნული სახელმწიფო.

ვემსახურებით რა მიზანს: საქართველო უწინარეს ყოვლისა, მივისწრაფით ჩვენ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნისაკენ ამიტომ ის არის მთავარი მამოძრავებელი სათავე ჩვენი დისციპლინისა. სახელმწიფო კი საზოგადოების განვითარების საზღვრაა! შპენგლერი ასე ხსნის მას: «სახელმწიფო არის მცენარის მაგვარი არსება, (ე. ი. ის ვითარდება და მისი შინაგანი ბუნება არ იცვლება) რაც გლეხისათვის თვისი სახლი, ოჯახი წარმოადგენს, ის არის კულტურულ ადამიანისათვის სახელმწიფო».

«სახელმწიფო ისტორიები კი არის მხოლოდ ისტორია და დარჩება მუდამ ასე-ო».

ბალდვინი ამბობს: «პროგრესს უკეთესი სახელმწიფოს შექმნის და მისი კეთილმოწყობის. მუდამ ცოცხლად სდგას და ალბად იდგომება საუკუნოებით-ო».

როგორც ხედავთ, სახელმწიფო წააგავს ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც სცვლის თავის პოლიტიკურ სახეს ტექნიკის და კულტურულ—სოციალურ მიღწევებთან გადაჯაჭვით. ერთის განვითარება სცვლის მეორეს და ასე, საწინააღმდეგოდ ნ. ჟორდანიას აზრისა, რომ «კაცობრიობა პოლიტიკურად იყინება ერთ ადგილზე, ხოლო ტექნიკურად და საზოგადოთ კულტურულად წინ მიდის და ვითარდება.» პოლიტიკა თუ ხელოვნებაა სახელმწიფოს მართვისა, ცხადია ის ვერ გაჩერდება ერთ წერტილზე და ვითარდება სხვა ტექნიკურ და კულტურულ მიღწევებთან ერთად,

ენგელსი ასე ამბობს სახელმწიფოზე: «სახელმწიფო აღიარებაა მისი, რომ ეს საზოგადოება დაიხლართა გამოუვალ წინააღმდეგობაში თავის—თავთან, გაითიშა შეურიგებელ წინააღმდეგობებათ, რომლისაგან თავის დაღწევა მას არ ძალუძს, რომ ამ წინააღმდეგობებმა, მოწინააღმდეგე ეკონომიური ინტერესებით აღჭურვილმა კლასებმა, უნაყოფო ბრძოლაში არ შეჭამონ ერთმანეთი და თვით საზოგადოება: ამისთვის აუცილებელი შეიქმნა ძალა, რომელიც ერთი შეხედვით საზოგადოებაზე მაღლა სდგას, ძალა, რომელმაც უნდა შეაკავოს შეტაკება, დაიჭიროს იგი „წესრიგის» საზღვრებში ეს ძალა, რომელიც თავის თავს მასაზე მაღლა აყენებს და სულ უფრო და უფრო ეთიშება მას, არის სახელმწიფო.» აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ არავითარი საზოგადოების დახლართვა სახელმწიფოში არ ხდება. საზოგადოება ცხოვრებაშია, ცხოვრება კი სხვა და სხვა ხანაში მოითხოვს სხვა და სხვა უნარიანობას; არის ეს «ქვის ხანა», ფულის» «ხმლის» და სხვა. უნარიანობის დროს ხდება საზოგადოებაში ერთის ჩამორჩენა და მეორის წინ სვლა. სახელმწიფო კი, ყველა ამას აერთიანებს და მის ზნეობას იცავს. ჰეგელი ამბობს: «სახელმწიფო ზნეობრივი იდეის სინამდვილეა ო». მუსოლინი კი დასძენს: «სახელმწიფო ჯარი და მოხელეებია-ო; მაშასადამე ამ ზნეობის დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი.

ჩვენ თეთრი გიორგელები სინამდვილეში სახელმწიფოს არსებულ ზნეობრივი განვითარებისათვის ვიბრძვით და არა (სახელმწიფოს) წინააღმდეგ, როგორც ამას ენგელსი სჩადის. ამას საუცხოვოდ გამოხატავს ჩვენი ემბლემა «თეთრი გიორგი», რომელშიაც არის იდეა, სიწმინდის ბრძოლა (თეთრი ჭაბუკის) უწმინდურების (გველეშაპი) წინააღმდეგ. დახასიათებული უნდა იყოს აგრეთვე მთელი მისი ფიგურა მფრინავი რაშით, მტკიცე ნების-ყოფით და დისციპლინით გამართული და წინ ესრბოლაში.

### ე რ ი.

გრძნობა მოვალეობისა და შეგნება დისციპლინისა, დამოკიდებულია ერის განვითარების სიმაღლეზე. მრავალი მეცნიერი იზიარებს, რომ «ერი არის კაცობრიობის ნაწილი სიცოცხლეში მოყვანილი». სიცოცხლეში მოყვანა კი ნიშნავს ცხოვრებას, რომელსაც ეწევა ხალხთა ჯგუფი. ერი ცხოვრობს: ეკლესიაში, დოქტრინებში, ლიტერატურაში, სოციალურ მოძრაობაში, სუფრაზე და ომში. ყველა ეს შეერთებული წარმოადგენს ერს და მათი ამაღლება ერის ამაღლებაა. სწორია შეხედულება, რომ დიდ ერს დიდი შვილები ჰყავს, ან უკეთ, როდესაც ხდება ერის ამაღლება, მაშინ ჰყავს დიდი შვილები. (ამისთვის ნათელია, თუ რუსთველი რათ დაიბადა ოქროს ხანაში და არა მეთოთხმეტე საუკუნეში.) ერის დისციპლინის სიმაღლეს თან ატარებს მისი შვილი.

აღფრთოვანებაში მოდიხარ, როდესაც ჩვენი ერის ცხოვრების ისტორიას თვალს გადაავლებ და ხედავ შეუდარებელ ამაღლებას: ეკლესიაში, სოციალურ მოძრაობებში, ლიტერატურაში, სუფრაზე, ომში და სხვა. ნათელია, თუ რა დიდი ერი ვყოფილვართ ერთ დროს. განცვიფრებაში მოდიხარ, თუ როგორ შესძლო ბუქნებაზე გიორგი სააკაძემ ოთხი საუკეთესო ვაჟკაცით შიშის ზარი დაეცა სპარსეთის განაკისათვის. აი რა სიმაღლემდე შეუძლია მივიდეს «თეთრი გიორგელნო» ერთი მიზნით განმტკიცებული, ეროვნული ბრძოლის დისციპლინით შეზრდილი პატრიოტთა ჯგუფი. აი საუცხოვო სარკე ჰარმონიულ მამულიშვილობის დისციპლინის განვითარებისა.

### მ ო დ გ მ ა. (რასა.)

დისციპლინის შეგნებაში რასა-საც აქვს მნიშვნელობა. ფიშერი ამბობს: «კუთვნილება ერისა (ე. ი. რაც ერთან გაკავშირებს და მის აღზრდიდან გაქვს) შეიძლება —დაკარგო ან მოიშორო. ის არ არის მემკვიდრეობითი, მაგრამ რასიულს კი ვერა—ო». რასიულ თვისებებში უნდა ვეძებდეს განსაკუთრებით მემკვიდრეობითი ხასიათის თვისებანი.

«კუთვნილება პიროვნებისა რომელიმე რასასთან გადადის მემკვიდრეობით, სხეულის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ თვისებებში. რასიული თვისება გამომჟღავნებულია და თანაც მიუცილებელი-ო».

რასისა და ერის განსხვავებას და ერთმანეთთან გადაჯაჭვას, განსაკუთრებით «პოლიტიკური ანთროპოლოგია განიხილავს.

თავისუფლად შეგვიძლია მის სიმაღლეზე ვილაპარაკოთ, რადგან ჩვენმა ერმა, რომელმაც გადიხადა იმდენი მამაცური ბრძოლები და ეროვნული ამაღლების საუცხოვო ხანები, უმეტესში მოსწონს დიდ რასიულ სიმაღლეს.

### ს ა მ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ბ უ ნ ე ბ ა.

საქართველოს ისტორიაში ნათლად გამოიყურება სამი მმართველობის ბუნება. პირველი: როდესაც უცხო შემოსეული მალები ბატონობენ საქართველოში. მეორე: როდესაც საქართველოში არის კიდევ მრავალი საქართველო და მესამე, როდესაც საქართველო წარმოადგენს ერთ მთლიან ჯანსაღ სახელმწიფოს.

ამ სამივე ფორმას აქვს თავისი დისციპლინა, რომლებით თავის დამახასიათებელ შინაარს გამოამჟღავნებენ ხოლმე. თვითეულ ზემო-აღნიშნულ სახეს ჰყავს დღეს მემკვიდრე, რომელნიც უცხო შემოსეული მალით ბატონებული არიან მათ ჰქვია ბოლშევიკები და მათი დასაყრდნობი ქვეყანა რუსეთი. რომლებიც ჰქმნიან საქართველოში საქართველოს, არიან პოლიტიკური პარტიები. რომლის ემსახურება მთლიან საქართველოს სახელმწიფოს იდეას არის თეთრი გიორგი.

შეიძლება გაგიკვირდეთ ასეთი შედარება ბოლშევიკების, საზიზღარ კოსტანტინესთან; ან ჩვენი პარტიების მედარეება, თვითნება, თავგასულ ერისთავების ქცევასთან. მაგრამ ისტორიულად თუ დააკვირდებით, ისინი ერთმანეთის მიმდევრები არიან.

### დ ა მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი.

რუსეთი შემოესია საქართველოს მისი დამახასიათებელ მოძრაობით ბოლშევიზმით; მათ ხელს უწყობდა პატარა ჯგუფი მდარე ხარისხოვან ქართველთა.

«ლენინი» ამბობს: «ჩვენ მივისწრაფვით რევოლიუციონურ დემოკრატიულ დიქტატურისაკენ პროლეტარიატისა და გლეხებისა-ო». ამ შეხედულებიდან გამომდინარე, შეებრძოლა რა პიროვნების თავისუფლებას, ერსა და სახელმწიფოს, როგორც კლასიურ ბატონობაზე აღმოცენებულ მოსასპობ სხეულებს, სინამდვილეში უკვე დამარცხდა 3|4 რუსეთში და მასთან ერთად დამარცხდა რევოლიუციონური მარქსიზმი.

აწრიალებული მათი ლიდერები ცდილობენ ახალი სულის ჩაბერვას ბოლშევიზმში. (მაგრამ ამაოდ).

ბუხარინი ამბობს «ყველა ოპოზიცია ნაკარნახევია სიძნელეთა წინაშე შეშინებით-ო». ერთი მეოთხედი თაც მათ აცხოვრებს არის ხელის უფლება.

ბოლშევიზმის იდეის სიკვდილით ჩვენი მდგომარეობა არ უმჯობესდება. თუ ბოლშევიკური აპარატი დარჩა ჩვენში და თან დარჩება მუდმივი ბოლშევიკური ქვეყანა რუსეთი. (ლენინიზმის სიკვდილით ბოლშევიკური ხელის უფლება არ კვდება რუსეთში, რადგან ბოლშევიკური მმართველობის სამშობლო არის რუსეთი და ყოველი რუსი ბოლშევიკია.)

ლენინის მოძრაობა, როგორც ძველათ შემოსეული მალები, ატარებს მკაცრ დიქტატურას და ანვითარებს რეფლექსიურ დისციპლინას. ის ჰკლავს პიროვნებაში თავისუფალ ნებას და ვერის ადამიანს ცხოველურ შიშს. ლენინი ამბობს: «ვქმნით უსასტიკეს რკინის დისციპლინას, რომელიც მხარს უჭერს შეიარაღებულ მუშების სახელმწიფო ძალა უფლებას, სახელმწიფო ჩინოვნიკებს ვხდით ჩვენი დავალების უბრალო შემსრულებლად, რომლებიც პასუხის-მგებელნი არიან, რომელთა გადაყენება მუდამ ყამს შეიძლება და სხვა». აქ არის ძთელი სახელმწიფოს და საერთოდ ცხოვრების წინსვლის საწინააღმდეგო ბრძოლის იდეა, გასუვითარებელისაგან ჭკვიანისათვის გზის ჩვენება და ყველაფერს ამას სასტიკის დისციპლინით ატარებენ ცხოვრებაში. (შეადარეთ ზემოდ მოყვანილი შპენგლერის და ბალდვინის სახელმწიფოს დებულება.) ამ მოძრაობას აქვს თავისი ძალა, სარგებლობს რა გაჭირვებული ხალხის სულისკვეთებით, ფანატიკური დიქტატორული დისციპლინით ამოძრავებს მათ.

თუმცა ქართველი ხალხის ეროვნული სიმაღლე დაცემულია დღეს, ვიდრე წარსულ საუკუნეებში იყო, მაგრამ ამ მოძრაობის სიმდაბლემდე ის მაინც არ დასულა. შეიძლება ზოგიერთ გამოფიტულმა ტიპმა დაიცვას რუსეთის და ბოლშევიზმის ბატონობა ჩვენში, რადგან ის პარაზიტულ მიდრეკილებას გასაქანს აძლევს. ისინი ფანატიკებიც იქნებიან ამის დაცვაში, რადგან ვიცით ფსიქოლოგიური კანონი, რომელიც ამბობს, რომ რენეგატი არის ხშირად ფანატიკოსი. (მაგ. მე-16 საუკუნეში სომხები გაამაჰმადიანეს თათრებმა და შემდეგ ისინი ისლამის «ლომებათ» ითვლებოდნენ.)

ასეთი ფანატიკური დიქტატურა რეფლექსიური დისციპლინით გამართული მოგვაწოდა რუსეთმა და ჩვენშიც გამოჩნდა (როგორც ძველად ისტორიულად) ფანატიკური «ლომები» მცირე რიცხვით, მაგრამ დიდი სიგოროტით, არ ინდობენ ჩვენსას არაფერს, ეკლესიას, ეროვნულ ზნე-ჩვეულებას, (ხალხის აღმზრდელს და გამაკეთილშობილებელს) გმირების საფლავებსაც კი არ აყენებენ მიწაში. ისე როგორც ძველად შემოსეული ურდოები, ქართველს თავის წმიდანზე აფურთხებინებდნენ და ცდილობდნენ თავიანთ რჯულზე ელოცებინათ; რომელი ქართველიც გამოხატავს თავის წყრომას, მას მოელის წამებით ტანჯვა ციხეებში და გადასახლებაში. მათი ობლები ულუკმა-პუროთ, უპატრონოდ შარა-გზაზე რჩება.

ვინც გაიყიდება ან შეშინდება მათ წინაშე, მას ლუკმა პურს აძლევენ და გაზეთის ფურცლებზე თავის შერცხვენას თვითვე აწერინებენ.

წარყვნეს სინიდისი, დახოცეს ძმები —მამები (გაიხსენეთ კოსტანტინეს დროს) და დაიწყეს ყვირილი - ხალხო! გამდიდრდებით, რადგან ხელის შემშლელნი მოვიშორეთ თავიდანო.

სამშობლოს მოღალატეს და ყველა ყაჩაღს თავი «რევოლიუციონერათ» მოაქვს. ყველა უვიცს თავი «ლენინის მოწინავე» ჰგონია, რომელმაც გამოცდილ ხალხს ჭკუა უნდა ასწავლოს და სახელმწიფო გზა გაუნათოს.

დაქცევა მოუვიტანეს და ყვირიან აგაშენეთო, გააბრიყვეს ხალხი და ეუბნებიან გაგანათლეთო. ეცდებიან მოსპონ ყველაფერი, ის რაც ერს აღორძინებს და ეროვნულ სახელმწიფოს აღადგენს. თუ ხალხის უზღვავი ენერგია რამეს გააკეთებს ხელ თავის წყალობათ სთვლიან, ასე ხდებოდა შემოსევების დროს ძველად და ასეა დღესაც.

(გაგრძელება იქნება.)

### ს ი მ ღ ე რ ა.

სიკვდილით ვერ შეგვაშინებ,
მტერო აფთარო ტყისაო!
ჩვენ ჩვენსას არვის დაუთმობთ
არცა—რა გვინდა სხვისაო...

ერთხმად დავძახოთ «ჰკარ მაგას»..!
ერთხმად ვებრძოთ მედგრად მტერს
და მოუპოვოთ ძვირფასი
თავისუფლება ჩვენსა ერს.

პატიოსნად დაგვცქერის
საომრად გვიწვევს გვიყივის,
წინ თეთრი რაშით მოისხანე
თეთრი გიორგი მიგვიძღვის!

ვ. დ.

---

ა|წ 25 იანვარს ქალ. გრენობლში ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა

შ ა ლ ი კ ბ ა ქ რ ა ძ ე

რასაც მისი გულდამწვარი მეგობრები მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას.

---

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია განცხადება შალიკ ბაქრაძის ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ. საბრალომ თავი მოიკლა. ჭეშმარიტად გულშემზარავია ახალგაზრდის ასე დაღუპვა და ვგრძნობთ იმ ტანჯვას, რომელსაც მისი მოხუცი დედ-მამა განიცდის ერთად—ერთი შვილის, სამშვიდობოს ნავულვის, მრთელი იმედისა და ნუგეშის, მოხუცებულობის დამატკბობელის დაკარგვით...

ნათქვამია ლათინურ ანდაზად: «მკვდარზედ ან კარგი ან არაფერი-ო» და ჩვენც ვცდებით შევასრულოთ ეს საერთოდ მიღებული კანონი, მაგრამ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ასეთს მოვლენას ჩვენს ისედაც გაუკუღმართებულ ცხოვრებაში.

ყოველ ადამიანს საზოგადოდ აქვს მოვალეობა წინაშე თავის საკუთარი თავისა, თავის მშობლებისა და მახლობელ ნათესავებისა, გვარისა, საზოგადოებისა, ერისა და სამშობლოისა. განსაკუთრებით დღეს, როდესაც მთელი ქართველი ერი იჟლიტება [illegible] მტრისაგან. არ გვეყოფა განა ეს, რომ თავის მოკვლა არ დაუმატოთ? დღეს როდესაც ყოველ ქართველს უნდა ჰქონდეს შეგნება სამშობლოს წინაშე მოვალეობის აღსრულებისა და სურვილი რითიმე დაეხმაროს ტანჯვის გზაზე მდგომ ქვეყანას, არავის უფლება არა აქვს თავის პირადი უბედურება დაუპირდაპიროს ესოდენ დიდს მოვლენას და პირადს მისცეს უპირატესობა, ყოველივე უნდა დასთმოს თავის მოვალეობის შესრულების წინაშე სამშობლოს საკეთილდღეოდ. უნდა იცოცხლოს საშინელ უბედურებით, რათა, როგორც ამბობდენ რომაელები და ზჩადიოდნენ ქართველები, «მე უნდა ვიცოცხლო, რომ მური ვიძიო! «ლაჩრობაა სიკვდილი ისდომო იმ დროს, როდესაც მტერს სიცოცხლე უნდა».

ერის უბედურება —ერთო პიროვნების უბედურებაა და ამისთვის ყოველმა პიროვნებამ უნდა იმოქმედოს საერთო უბედურების, სამშობლოსა და ერის უბედურების მოსასპობად. თუ მოუხერხდება პირადი მისი ცხოვრება აწარმოვოს რიგიანად რა თქმა უნდა ეცადოს, მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც საერთო ბედნიერება—სამშობლოს თავისუფლება უნდა იყოს. თუ საკითხს ცხოვრება ისე დაუყენებს, რომ პირადს ვერ მიაღწევს ამან გული არ უნდა მოუკლას, ეს უნდა დასთმოს უფრო მაღალი მოვალეობისათვის—ისევ სამშობლოსათვის. ასე იყო ძველად საქართველოში. ამან მოგვიყვანა დღემდე. უსაყვარლეს არსებებს სწირავდნენ სამშობლოს. არა თუ მარტო თავიანთ სიცოცხლეს, არამედ ყველაფერს რაც ცხოვრების საგანს, ბედნიერებას შეადგენდა მათთვის და თვით ცოცხალნი, მაგრამ განუსაზღვრელი ტანჯვით დაბორგავდნენ წუთისოფელ გამწარებულნი. და ყოველივე ამას ინაზღაურებდნენ მოვალეობის პირნათლად შესრულებით და სამშობლოს კეთილდღეობით. ჩვენც აქეთ მოუწოდებთ ახალგაზრდობას. მეტი იდეალი ცხოვრებაში, მეტი იმედი მომავლისა და შეურყეველი სურვილი ბრძოლისა, სამშობლოს დასახსნელად. აქეთ უნდა იყოს მიქცეული მთელი გონება, გრძნობა და ძალ-ღონე თანამედროვე ახალგაზრდა ქართველისა. თუმცა ძლიერ ცუდ პირობებშია, ჩავარდნილი ახალგაზრდობა აქ უცხოეთში, მაგრამ ეს დაუსრულებელი ტანჯვა ხომ ხვედრია ქართველი ერისა. იგი იმყოფება ტანჯვაში და მთელი საუკუნე ათასი წლიწადი მოდის ამ ტანჯვისა და წამების გზით. ახალგაზრდობამ უნდა გაამართლოს თავიანთი წინაპრების იმედი, ამ ცუდს პირობებშიაც უნდა ეცადოს მოიკრიფოს მრთელი ძალა, რათა ცოდნაც შეიძინოს და მეუდრო ცხოვრება თუ ეღირსა, გამოაყენოს ქვეყანას. გაიკაჟოს სული მომავალ გარდამწყვეტ ბრძოლისათვის!

მეგობარი.

---

რუსულ გაზეთის «პოსლედნიე ნოვოსტი» ს 13 იანვრის ნომერში, ქართველ ემიგრანტთა სახელით, დაბეჭდილი იყო დიდი თავადი ნიკოლოზის პანაშვიდზედ მოწვევა. ამ მოვლენამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში და ჩვენც საჭიროდ მივიჩნია გამოვსთქვათ ჩვენი აზრი.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები ამ ამბის შესახებ, მაგრამ მომხდარი აქტი განუსაზღვრელ აღშფოთებას იწვევს ჩვენში.

დღეს ქართველი ერი, რუსების მიერ დადგმულ სისხლის მორევში იღრჩობა, იგი თავგანწირვით იბრძვის თავისუფლების აღსადგენად და არა «ნამესტნიკობის» ხელახლა დასამყარებლად. და ასეთ დროს მტრის «ჭირში თუ ლხინში» მონაწილეობის მიღება დანაშაულია და შეურაცხყოფაა იმ თავდადებულ, სამშობლოს მსხვერპლად დაღუპულ ქართველ საუკეთესო მამულიშვილთა ხსოვნის წინაშე, რომელთა დაკარგულ საფლავებს ჯერ კიდევ ჰყავს ჭირისუფალი.

ვიმედოვნებთ, რომ ის უდიდესი ნაწილი ქართველ ემიგრანტთა, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ მოუფიქრებელ პოლიტიკურ ხაგიჯის გადადგმაში სათანადოთ გამოეხმაურება ამ მოვლენას.

დირექტორია.

---

### თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი ს ს ა ღ ა მ ო.

8 თებერვალს ვამართულ თეთრი გიორგის სასარგებლოდ მოწყობილმა საღამომ, საუცხოვოდ ჩაიარა. დაესწრო მრავალი საზოგადოება, უცხოელთა წარმომადგენლები და ღირსშესანიშნავი სტუმარნი. ვრცელ ანგარიშს გაეცნობა მკითხველი მომავალ ნომერში.

---

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა —85

ინიშნება ოდენკურ—ვალენტინეს თეთრი გიორგის სექციის ხელმძღვანელად ბ. დ. კლდიაშვილი.

მთავარი მდივანი ლეო კერესელიძე.

---

### შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს შ ე ს წ ო რ ე ბ ა.

მე—14 ნომრის სამხედრო ფურცელზე პირველი სვეტის 17 სტრიქონზე სადაც დაწერილია: «მოსვლისთანავე თავის რონოდა—სალონში თათბირი გამართა, რომელსაც სხვა და სხვა «სახელმწიფოს» უნდა იყოს სახელმწიფო პირნი დაესწრნენ.

---

Le Gérant : Félix KALDENPACH
PARIS. — IMP. CAVALLIER, 22, RUE DU [illegible]